

საქართველოს ფინანსური უნივერსიტეტი
პიდრომეტეროლოგის ინსტიტუტი

შიგრი № IHM-11-02-GTU-2419

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
პიდრომეტეროლოგის
ინსტიტუტის დირექტორი
----- თ. ცინცაძე
“--25--“ დეკემბერი 2011 წ.

ზეაგჯარმომამცელი პლიმატის ელემენტების
მოსალოდნელი ცვლილების ბაზლენა ზგავსაშიშროების
მახასიათებლებზე

(დასკვნითი ანგარიში)

სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე,
გ.მ.დ

ნ.ბეგალიშვილი

პასუხისმგებელი შემსრულებელი:
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

მ.სალუქაძე

თბილისი

2011 წ.

რ ე ფ ე რ ა ტ ი

ანგარიში 47 გვერდი, 16 ცხრილი, 18 ლიტერატურა, 3 ნახაზი, 9 რუკა
ზგავი, ზგავსაშიშროებია, ზგავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები,
ზგავების ჩამოსვლის სიხშირე, ზგავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა

პროგრამა: “ზგავწარმომქმნელი კლიმატის ელემენტების მოსალოდნელი ცვლილების გავლენა ზგავსაშიშროების მახასიათებლებზე” (2009-2011 წწ.) დასკვნითი ანგარიში. პასუხისმგებელი შემსრულებელი – მ.სალუქვაძე; შემსრულებლები: ნ. კობახიძე, გ. ჯინჭარაძე.

1. ზგავსაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტები და მათი ცვლილება დროში (2009 წ.)
2. კლიმატის ელემენტებზე დამოკიდებული ზგავსაშიშროების მახასიათებლები და მათი დროში ცვლილება (2010 წ.)
3. ზგავწარმომქმნელი კლიმატის ელემენტების მოსალოდნელი ცვლილების გავლენა ზგავსაშიშროების მახასიათებლებზე (2011 წ.)

ანგარიში: განხილულია ზგავსაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტები და დადგენილია, რომ ზგავსაშიშროების დროში ცვალებადობა გამოწვეულია ასევე დროში ცვალებადი მისი განმსაზღვრელი ბუნებრივი კომპონენტებით, კერძოდ კლიმატით. ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზგავსაშიშროების ისეთ რაოდენობრივ მახასიათებლებზე, როგორიცაა ზგავების ჩამოსვლის სიხშირე (ზგავშემკრებიდან ზგავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში) და ზგავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა (ზგავსაშიშ დღეთა რაოდენობა ერთ ზამთარში). წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლეები, ზგავების ჩამოსვლის სიხშირისა და ზგავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური განაწილების რუკები.

სხვადასხვა სცენარების საშუალებით დადგენილია ზგავსაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტების ცვლილების გავლენა დროში ცვალებად რაოდენობრივ მახასიათებლებზე. კლიმატის ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ზგავსაშიში ტერიტორიის ქვედა საზღვრის აბსოლუტური სიმაღლის შეცვლა და ამდენად მნიშვნელოვნად შეამციროს ან გაზარდოს ზგავების გავრცელების არეალი.

შემსრულებელთა სია

პასუხისმგებელი შემსრულებელი:
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

მ.სალუქვაძე

შემსრულებლები:
მეცნიერ თანამშრომელი
მეცნიერ თანამშრომელი

გ. ჯინჭარაძე

ნ. კობახიძე

შინაარსი

1. ზგავსაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტები და მათი ცვლილება დროში
 - 1.1. შესავალი
 - 1.2. კლიმატი
 - 1.3. ჰაერის ტემპერატურა
 - 1.4. ატმოსფერული ნალექები
 - 1.5. თოვლის საფარი
 - 1.6. ზვავსაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტები
2. კლიმატის ელემენტებზე დამოკიდებული ზგავსაშიშროების მახასიათებლები და მათი ცვლილება დროში
- 2.1. ზვავების ჩამოსვლის სიხშირე
- 2.2. ზვავსაშიში ჰერიოდის ხანგრძლივობა
- 2.3. კლიმატის ელემენტებისა და ზვავსაშიშროების მახასიათებლების ცვალებადობა დროში
3. ზვარარმომნელი კლიმატის ელემენტების მოსალოდნელი ცვლილების გამოვლენა ზგავსაშიშროების მახასიათებლებზე
- 3.1. ატმოსფერული ნალექების ცვლილების გავლენა ზვავსაშიშროების მახასიათებლებზე
- 3.2. ჰაერის ტემპერატურის გავლენა ზვავების ჩამოსვლის სიხშირესა და ზვავსაშიში ჰერიოდის ხანგრძლივობაზე
4. მირითადი დასპანები და რეკომენდაციები
5. დანართი 1. მყარი ნალექების ზღიური რაოდენობისა და თოვლის საზარის სიმაღლის საშუალო და ესსტრემალური მნიშვნელობები
- დანართი 2. ზგავების ჩამოსვლის სიხშირე
- დანართი 3. ზგავსაშიში კორიოლის ხანგრძლივობა

1. ზგავსაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტები და მათი ცვლილება დროში

1.1. შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე ფართო გავრცელებითა და ხშირი განმეორა-დობით გამოირჩევა თოვლის ზვავები, რომელიც მნიშვნელოვან ზარალს აუნებს ქვეყნის ეკონომიკას, ხელს უშლის მთიანი რეგიონების ათვისების ნორმალურ პროცესს, აძნელებს მთის მოსახლეობის ისედაც როგორ ყოფას და რაც მთავარია იწვევს ადამიანთა მსხვერპლს. მთიანი რეგიონების ზვავსაშიშროება (ზვავების წარმოქმნა, რეჟიმი, გავრცელება, ზვავსაშიშროების რაოდენობრივი, ზვავშემკრებების მორფოლოგიური და ზვავების დინამიკური მახასიათებლები) ძირითადად დამოკიდებულია რელიეფის, კლიმატისა და მცენარეული საფარის თავისებურებებზე. სწორედ, რომ ამ კომპონენტების დრმა ანალიზი იძლევა ზვავების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების განსაზღვრის საშუალებას. ზვავსაშიშროება დროში (ზამთრიდან ზამთრამდე) დიდ ცვლილებას განიცდის. არის ზამთრები, როდესაც ზვავების ჩამოსვლა შედარებით უმტკიცებულოდ მიმდინარეობს, რადგანაც ზარალის რაოდენობა მინიმალურია, ხოლო ისეთმა ზამთრებში, როგორიც იყო 1932, 1971, 1976, 1987, 1996, 2003, 2011 წლები დიდი იყო, როგორც მატერიალური ზარალი, ასევე ადამიანთა მსხვერპლი. ზვავების გააქტიურება შეიმჩნევა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ (1970-71, 1975-76 და 1986-87 წლების ზამთრებში) აღინიშნებოდა კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა [12,15]. მათ გარდა მთიან რეგიონს დიდ ზარალს აუნებს სისტემატური ზვავებიც, ანუ ზვავები, რომლებიც ყოველ ზამთარში ჩამოდის. ამ ზვავების ჩამოსვლა იწვევს საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების, ასევე ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის, ცალკეული რეგიონების დამაკავშირებელი მაგისტრალების საუდელტეხილო მონაკვეთებზე მოძრაობის შეფერხებას, ზოგჯერ კი გარკვეული დროით შეჩერებას [18]. ზვავსაშიშროება დროში დიდ ცვლილებას განიცდის, ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1986-87 წლის ზამთარი, როდესაც ზვავებმა იმსხვერპლა 75 ადამიანი, ხოლო ნგრევის შედეგად ზარალმა ასეული მილიონი დოლარი შეადგინა. ამ ზამთრის არც წინა და არც მომდევნო წლებში არ აღინიშნებოდა მსგავსი მოვლენა. ასევე საქართველოში და კერძოდ საქართველოს სამხედრო გზის საუდელტეხილო მონაკვეთზე დაკირვების მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა ყველა ზამთარში სხვადასხვაა [13]. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ზვავსაშიშროების დროში ცვალებადობა გამოწვეულია ასევე დროში ცვალებადი მისი განმსაზღვრელი ბუნებრივი კომპონენტით, ასეთი კი რელიეფისა და მცენარეული საფარისაგან განსხვავებით, მხოლოდ კლიმატია.

1.2. კლიმატი

ზვავსაშიშროების დროში ცვალებადობა გამოწვეული უნდა იყოს კლიმატის ცალკეული ელემენტებით და კლიმატის ცვლილება უსათუოდ მოახდენს გავლენას ზვავსაშიშროებაზე [7].

ჩვენი ტერიტორიის კლიმატის თავისებურება განპირობებულია ცირკულაციური პროცესებით, შავი ზღვის გავლენით და რელიეფის სირთულით. ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი კლიმატური ოლქი, რომლის საზღვარი ლისის ქედია. ამ ქედის გავლენით დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების გადაადგილება აღმოსავლეთ საქართველოში ხშირად შეფერხებულია. დასავლეთ საქართველოში კლიმატი არის ნოტიო სუბტროპიკული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - მშრალი კონტინენტური. კლიმატის ფორმირებაზე დიდ

გავლენას ახდენს დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასები, რომლებიც შავ ზღვაზე გავლისას, ხშირ შემთხვევაში, დამატებით სინოტივეს იღებენ. რელიეფის თავისებურება ხელს უწყობს დასავლეთის ჰაერის მასებში არსებული წყლის ორთქლის კონდენსაციას იძულებითი აღმასვლის დროს, რაც განაპირობებს უხვ ნალექებს ქედების დასავლეთისაკენ მიმართულ ფერდობებზე დასავლეთ საქართველოში და ნალექების სიმცირეს აღმოსავლეთ საქართველოში. ორივე კლიმატურ ოლქში კარგადაა გამოხატული კლიმატის ელემენტების ვერტიკალური ზონალობა.

13. ჰაერის ტემპერატურა

ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა იცვლება $14-15^0$ -დან ($\text{შავი } \text{ზღვის } \text{სანაპირო}$) მინუს 6-7⁰-მდე (მაღალმთიანი რეგიონები). ტემპერატურის ცვლილების თავისებურება განპირობებულია რელიეფის, კერძოდ კი ადგილის აბსოლუტური სიმაღლით. ოროგრაფია და ფერდობების ექსპოზიციაც გარკვეულ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურის ტერიტორიალურ განაწილებაზე, მაგრამ ეს გავლენა არცთუ ისე მნიშვნელოვანია და ზონების მიხედვით - დაბალმთიან ზონაში $8-15^0$ -ის ფარგლებში, საშუალომთიან ზონაში $2-8^0$ -ის ფარგლებში იცვლება. რაც შეეხება მაღალმთიან ზონას 2500 მ-მდე ტემპერატურის მნიშვნელობა დადებითია, ხოლო უფრო მაღლა - უარყოფითი.

წლის ციკი ჰერიოდის ჰაერის საშუალო ტემპერატურა დაბალმთიან ზონაში იცვლება 0^0 -დან 8^0 -მდე, საშუალომთიან ზონაში მინუს 1^0 -დან 5^0 -მდე, ხოლო მაღალმთიან ზონაში ნაკლებია $5-6^0$ -ზე, ჰაერის საშუალო წლიური და ციკი ჰერიოდის ტემპერატურის გერტიკალური გრადიენტი საშუალოდ შეადგენს $0,6^0$ -ს 100 მ-ზე.

წლის ციკი ჰერიოდის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცვლილების ანალოგიურია იანვრის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებაც. როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ისე დასავლეთ საქართველოს ზღვიდან დაშორებულ რეგიონებში ტემპერატურა $1-2^0$ -ით დაბალია დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონებთან შედარებით, სადაც დაუბრკოლებლივ აღწევენ ზღვის ნოტიო ჰაერის მასები. იანვრის საშუალო ტემპერატურა დადებითია ზღვის დონიდან $400-500$ მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე, დაბალმთიან ზონაში ის ეცემა მინუს $12-15^0$ -მდე (მამისონის უდელტეხილი, მაღალმთიანი ყაზბეგი). საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე იანვარი ყველაზე ციკი თვეა, მაგრამ მაღალმთიან რაიონებში იანვარზე ციკი თებერვლის თვეა და ტემპერატურა $0,2-0,3^0$ -ით დაბალია იანვრის თვის საშუალო ტემპერატურაზე.

საშუალო დღე-დღმური ტემპერატურა ზღვის დონიდან $400-500$ მ-მდე მთელი წლის განმავლობაში დადებითია, უფრო მაღლა კი უარყოფითი. 1000 მ-მდე უარყოფით ტემპერატურიან დღეთა რაოდენობა იცვლება 1 -დან $70-80$ - მდე, მაღალმთიან რეგიონებში ასეთი დღეთა რაოდენობა 210 - 280 -ია (მამისონის უდელტეხილი, მაღალმთიანი ყაზბეგი). ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი ზღვის სანაპიროზე $13-15^0$ -ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში აღწევს მინუს $38-42^0$ -ს.

14. ატმოსფერული ნალექები

საქართველოს ტერიტორიაზე ნალექების განაწილებაში კარგად შეიმჩნევა მათი შემცირების ტენდენცია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რაც განპირობებულია შავი ზღვის გავლენის შესუსტებით. დასავლეთ საქართველოში მთიან ნაწილში, გარკვეულ სიმაღლემდე, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების წლიური რაოდენობა იზრდება, მაგალითისათვის

მდ. რიონის აუზში ქუთაისიდან (114 მ) ონამდე (788 მ) ნალექების წლიური რაოდენობა მცირდება 1586 მმ-დან 1048 მმ-მდე, ხოლო უფრო მაღლა იზრდება და შოგში (1507 მ) შეადგენს 1264 მმ-ს. აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებზე გაცილებით მეტია ნალექების რაოდენობა, ვიდრე მის ჩრდილოეთ ფერდობებზე და სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. მაგალითად მდ. არაგვის აუზში 500-600 მ-ზე მოდის 650-700 მმ ნალექი, 1500-1600 მ-ზე - 1150-1200 მმ და 2300-2500 მ-ზე - 1400-1500 მმ; მდ. ქცია-ხრამის აუზში იგივე სიმაღლეებზე შესაბამისად მხოლოდ 500-550მმ, 800-850 მმ და 1200-1300 მმ ნალექი მოდის.

დასავლეთ საქართველოში ნალექების ტერიტორიალურ განაწილებაში შეიმჩნევა რიგი კანონზომიერებანი. ზღვასთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის უმნიშვნელო მატება (ასეული ან თუნდაც ათეული მეტრით) იწვევს ნალექების წლიური რაოდენობის მნიშვნელოვან მატებას. დასავლეთ საქართველოში მდინარეების კოდორის, ენგურის, რიონის, აჭარისწყლის და სხვათა აუზების მთიანი ნაწილის გარკვეულ სიმაღლემდე, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების რაოდენობა მცირდება, რაც განპირობებულია ზღვის გავლენის შესუსტებით, ხოლო უფრო მაღლა, ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების წლიური რაოდენობა იზრდება. მაგალითად, კოდორის ხეობაში ნალექების წლიური რაოდენობა, ზღვის დონიდან 250-300 მ-დან 700-800 მ-მდე, კლებულობს 1800-1850 მმ-დან 1400-1500 მმ-მდე.

15. თოვლის საფარი

საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიანი დაკვირვების, აგრეთვე თეორიული გამოთვლებით მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია მყარი ნალექების რაოდენობისა და თოვლის საფარის სიმაღლის როგორც ექსტრემალური, ისე საშუალო მნიშვნელობები. თოვლიანობის მიხედვით გამოიყო განსაკუთრებით უხვოვლიანი, უხვოვლიანი, საშუალოთოვლიანი და მცირეთოვლიანი რაიონები. განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონს უკავია შავი ზღვის მიმდებარე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში, დასავლეთში და სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ტერიტორია, სადაც ზღვის ნოტიო ჰაერის მასები შედარებით დაუბრკოლებლად აღწევს. აქ თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 100-120 სმ-დან 700-750 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე - 30-36 სმ-დან 450-500 სმ-მდე (კერტიკალური გრადიენტი ტოლია 20-25 სმ/100 მ), მინიმალური სიმაღლე 0-5 სმ-დან 200-250 სმ-მდე; თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას აღწევს 250-330 სმ-ს, დღე-დამური ნამატი- 150-170 სმ-ს [1]. უხვოვლიან რაიონს უკავია განსაკუთრებით უხვოვლიანი რაიონის აღმოსავლეთით მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იზრდება 110 სმ-დან 580 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე 30 სმ-დან 300 სმ-მდე (გრადიენტი ტოლია 15 სმ/100 მ), მინიმალური სიმაღლე - 0-დან 115 სმ-მდე. თოვლის საფარის მაქსიმალური ნამატი ერთი თოვისას შეადგენს 200-330 სმ-ს, ხოლო დღე-დამური ნამატი - 140-165 სმ-ს. საშუალოთოვლიანი რაიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობა ზღვის ნოტიო ჰაერის მასების გავლენა. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 75 სმ-დან 455 სმ-მდე იცვლება, საშუალო მნიშვნელობები 25 სმ-დან 232 სმ-მდე (გრადიენტი - 10 სმ/100 მ), ხოლო მინიმალური მნიშვნელობა 0-დან 138 სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის ნამატი არის 150-205 სმ, დღე-დამური ნამატი კი - 100-120 სმ. მცირეთოვლიან რაიონი საშუალოთოვლიანი რაიონის აღმოსავლეთით მდებარეობს და მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს

მთლიანად, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ჩათვლით. აქ შესუსტებულია დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების გავლენა, რაც განაპირობებს თოვლის საფარის მცირე რაოდენობას. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 40 სმ-დან 150 სმ-დე იცვლება, საშუალო მნიშვნელობა 15 სმ-დან 40 სმ-დე (გრადიენტი 2 სმ/100 მ), ხოლო მინიმალური მნიშვნელობა 0-დან 10 სმ-დე. ერთი თოვლის დროს თოვლის სიმაღლის მაქსიმალური ნამატი 80-100 სმ-ია, ხოლო დღე-დამური ნამატი- 55-65 სმ [5,14].


თოვლის საფარის სიმაღლის ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით ცვლილების კანონზომიერების გამოვლენის საფუძველზე და ჰიფსომეტრული რუკის გამოყენებით გამოვლენილია თოვლის საფარის სიმაღლის ცვლილების თავისებურება საქართველოს ტერიტორიაზე და შედგენილია შესაბამისი რუკები (ნახ.1.1, 12, 13).

მაქსიმალუროვლიან ზამთარში საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 12,3%-ზე თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება 400 სმ-ს (ცხრ.1.1), ხოლო ამ რაიონის ცალკეულ რეგიონებში აღწევს 490-615 სმ-ს. მაგალითად, თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლემ მს ცისკარას მონაცემებით შეადგინა 615 სმ (29.01.1964წ.), ბახმაროში - 580 სმ (12.03.1959 წ.) და 578 სმ (3.02.1989 წ.), ლახამულაში - 516 სმ (31.12.1986 წ.) და სხვა. რაიონს სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე აღემატება 400 სმ-ს განსაკუთრებით დიდი ტერიტორია უკავია მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენგურის და აჭარისწყლის აუზებში, ხოლო მცირე ტერიტორია - მდინარეების ლიახვის, ქსნისა და არაგვის აუზებში. დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, უკავია საშუალომთიანი და მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - მხოლოდ მაღალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორია [9,10].

კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილისა და მისი სამხრეთი განშტოებების, მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედების საშუალომთიან ზონაში მდებარე ფერდობების, აგრეთვე კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთი ნაწილის და მისი განშტოებების, თრიალეთის, ჯავახეთის, სამსარის ქედების მაღალმთიან ზონაში მდებარე ფერდობების უმეტესი ნაწილი უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 300-400 სმ-ს (საქართველოს მთლიანი ფართობის 13%) და 200-300 სმ-ს (16%). საქართველოს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 31% უკავია რაიონს, სადაც თოვლის საფარის მაქსიმალური სამაღლე 100-200 სმ-ია. ეს რაიონი მოიცავს კოლხეთის დაბლობს და მის მიმდებარე დაბალმთიან და აღმოსავლეთ საქართველოს საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიას. აღმოსავლეთ საქართველოს დაბალმთიან ზონაში მდებარე ტერიტორიაზე მთლიანად და საშუალომთიან ზონაში მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ნაკლებია 100 სმ-ზე; თოვლის საფარის ასეთი სიმაღლე დამახასიათებელია საქართველოს მთლიანი ფართობის 28%- თვის.


ცხრილი 1.1. თოვლის საფარის სიმაღლე საქართველოს ტერიტორიაზე

მაქსიმალური		საშუალო		მინიმალური	
სიმაღლე, სმ	% საერთო ფართობიდან	სიმაღლე, სმ	% საერთო ფართობიდან	სიმაღლე, სმ	% საერთო ფართობიდან
<100	28	<50	43	<30	67
100-200	31	50-100	27	30-60	13
200-300	16	100-150	12	60-90	10
300-400	13	150-200	9	>90	10
>400	12	>200	9		




გან. თოვლის საფარის განვითარების სიმაღლის რუკა

ნახ. 1.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის რუკა



გან. თოვლის საფარის სამუშაო სიმაღლის რუკა

ნახ 1.2. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის რუკა



ნახ. 1.3. თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლის რუკა

მრავალწლიანი დაკვირვების მასალების ანალიზმა თოვლის საფარზე გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიის 43% უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე ნაკლებია 50 სმ-ზე. დასავლეთ საქართველოში ამ რაიონს, ძირითადად, უკავია ზღვის დონიდან 200 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორია, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში - დაბალმთიანი ზონა, ხოლო სამხრეთ ნაწილში - საშუალომთიანი ზონის მნიშვნელოვანი ნაწილი. რაიონებს, სადაც თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე შეადგენს 50-100 და 100-150 სმ-ს, მოიცავენ საქართველოს მთლიანი ფართობის 27 და 12%-ს. დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი და მაღალმთიანი ზონები, კერძოდ კავკასიონისა და მისი სამხრეთ განშტოებების, აგრეთვე მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედების ფერდობები, აგრეთვე აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილისა და მისი განშტოებების მაღალმთიანი ფერდობები უკავია რაიონებს, სადაც თოვლის საფარის სიმაღლე 150-200 სმ-ია ან აღემატება 200 სმ-ს; მათ საქართველოს მთლიანი ფართობის 9 და 9% უჭირავთ. ცალკეულ რეგიონებში (ბახმარო, ციხესიმაგრე) თოვლის საფარის საშუალო მრავალწლიური სიმაღლე აღწევს 300-344 სმ-ს.

ტერიტორიის მთლიანი ფართობის 10%-ზე თოვლის საფარის სიმაღლე ყოველწლიურად აღემატება 90 სმ-ს. ცალკეულ რეგიონებში (ლებარდე, გუდაური, ბახმარო, ჯვრის უღელტეხილი, ციხესიმაგრე) თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე აღწევს 100-145 სმ-ს; დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის საშუალომთიანი, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის ნაწილის საშუალო და მაღალმთიანი ასევე სამხრეთი ნაწილის მაღალმთიანი ზონების უმეტესი ნაწილი უკავია

რაიონებს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე არის 30-60 და 60-90 სმ; რაიონები შესაბამისად მოიცავენ საქართველოს მთლიანი ფართობის 13 და 10%. უმეტესი ნაწილი (67%) უჭირავს რაიონს, სადაც თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე ნაკლებია 30 სმ-ზე, კერძოდ 800-1000 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიას დასაგლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს როგორც დაბალმთიანი, ისე საშუალომთიანი ზონები.

1.6. ზვავშაშიშროების განმსაზღვრელი კლიმატის ელემენტები

მთიან რეგიონებში ზვავების გავრცელების ტერიტორიის სიდიდე სხვადასხვა ზამთარში სხვადასხვაა და საქართველოში ის ქვეყნის მთლიანი ფართობის 20-დან 56%-მდე იცვლება ანუ საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე ზვავები ყოველწლიურად, ხოლო დანარჩენ 36%-ზე ორ წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად ჩამოდის. სხვადასხვა ზამთარში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მარტო ზვავების გავრცელების ზონის ფართობი, არამედ ზვავსაშიშროების სხვა მახასიათებლებიც, კერძოდ, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა რაც, ცხადია, ზვავწარმომქმნელი ბუნებრივი კომპონენტების (რელიეფი, მცენარეული საფარი, კლიმატი) თავისებურებითაა განპირობებული [1-3,6].

ცხადია, რომ ზვავსაშიშროების მახასიათებლების სივრცეში ცვლილება განპირობებულია რელიეფისა და მცენარეული საფარის ცვლილებით სივრცეში, ხოლო ამ მახასიათებლების დროში ცვლილება კი - ასევე დროში ცვალებადი ზვავწარმომქმნელი ბუნებრივი კომპონენტით-კლიმატით. ზვავსაშიში ტყიანი თუ უტყეო ფერდობები და ზვავშემკრებები (ზვავის კერა, ზვავსადენი, ზვავის გამოზიდვის კონუსი) მუდმივად არსებობს (დროში არ იცვლება), ხოლო ზვავშემკრებებში ზვავის წარმოქმნა კლიმატის ცალკეული ელემენტების თავისებურებითაა განპირობებული.

ზვავსაშიშროებაზე კლიმატის ცალკეული ელემენტების მნიშვნელობის გამოსავლენად გავაანალიზოთ საქართველოს ტერიტორიაზე 1970-71 წწ., 1975-76 წწ. და 1986-87 წწ. ზამთარში კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის პირობები და გამომწვევი მიზეზები. აქვე უნდა ავლიშნოთ, რომ ზვავების ჩამოსვლას სხვა მომდევნო წლებშიც პქლონად აღილი, თუმც მასიური ჩამოსვლით, კატასტროფული შედეგებით და ადმიანთა მსხვერპლით მხოლოდ ეს ზამთრები გამოირჩევა.

კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (აჭარა-გურია) 1971 წ. თებერვალში ხდებოდა. ცხრილებიდან (ცხრ.1.2, 1.3) ნათლად ჩანს, რომ კლიმატის ცალკეული ზვავწარმომქმნელი ელემენტების მახასიათებლები 1971 წლის თებერვალში საშუალო მრავალწლიურისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

ცნობილია, რომ ზამთარში მოსული მყარი ნალექებისა და თოვლის რაოდენობა მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდია მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და რაც უფრო დაბალია ჰაერის ტემპერატურა (როცა მისი მნიშვნელობა უზრუნველყოფს ნალექების მხოლოდ მყარი-თოვლის სახით მოსვლას). 1971 წლის თებერვალში აჭარასა და გურიაში ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობა 0,7(ქედა)-1,2°-ით (ხულო) დაბალი იყო საშუალო მრავალწლიურზე, ხოლო ნალექების რაოდენობამ კი საშუალო მნიშვნელობის 184 (ჩაქვისთავი)-320% (ზოტი) შეადგინა (ცხრ.1.2).

ცხრილი 1.2. ჰაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები 1971 წლის თებერვალში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში

სადგური	H, მ	ჰაერის ტემპერატურა, გრად.			ატმოსფერული ნალექი, მმ		
		საშ. მრ.	II, 1971წ.	სხვაობა	საშ. მრ.	II, 1971წ.	% მრ-დან
ქედა	256	4,5	3,8	-0,7	156	317	203
ჩაქვისთავი	315	-	-	-	246	452	184
ხულო	923	2,0	0,8	-1,2	112	212	189
ზოგი	1270	-	-	0	106	340	320
ბახმარო	1926	-4,6	-5,7	-1,1	139	397	286

მოსული ნალექების დიდმა რაოდენობამ და ჰაერის დაბალმა ტემპერატურამ უხვი მყარი ნალექების მოსვლას და მდლავრი თოვლის საფარის წარმოქმნას შეუწყო ხელი. მყარი ნალექების რაოდენობამ საშუალო მრავალწლიურის 204 (ხულო)- 315% (ბახმარო), ხოლო თოვლის საფარის სიმაღლემ 137 (ბახმარო)-212% (ქედა) შეადგინა (ცხრ.1.3).

ცხრილი 1.3. მყარი ნალექი და თოვლის საფარი 1971 წლის თებერვალში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში

სადგური	H, მ	მყარი ნალექები, მმ			თოვლის სიმაღლე, სმ		
		საშ. მრ	II, 1971წ	% მრ-დან	საშ. მრ	II, 1971წ	% მრ-დან
ქედა	256	42	89	212	86	182	212
ჩაქვისთავი	315	-	-	-	98	206	210
ხულო	923	49	100	204	118	270	186
ზოგი	1270	-	-	0	141	270	191
ბახმარო	1926	126	397	315	270	371	137

ამრიგად. შეიძლება დავასკვნათ, რომ 1971 წლის თებერვალში აჭარასა და გურიაში კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა კლიმატის ცალკეული ელემენტების თავისებურებამ - ჰაერის დაბალი ტემპერატურისა და მოსული ნალექების დიდი რაოდენობით გამოწვეულმა უხვმა მყარმა ნალექმა და თოვლა განაპირობა.

1976 წლის იანვარში კატასტროფული ზვავების მასიურ ჩამოსვლას ადგილი ჰქონდა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში (კავკასიონისა და მისი განშტოებების ფერდობები) დაწყებული აფხაზეთიდან, დამთავრებული თუშეთით.

1976 წლის იანვარში, მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, ჰაერის ტემპერატურა საშუალო მრავალწლიურზე 0,1 (ომალო)-1,5°-ით (ბახმარო) დაბალი იყო, ნალექები კი დიდი სიუხვით გამოირჩეოდა და საშუალო მრავალწლიურის 178 (ყაზბეგი)-452% (ომალო) შეადგინა (ცხრ.1.4).

ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების თავისებურებამ 1976 წლის იანვარში უხვი ნალექების მოსვლა და თოვლის საფარის დიდი სიმაღლე განაპირობა (ცხრ. 1.5). მყარი ნალექების რაოდენობამ საშუალო მრავალწლიურის 187-437% (ყაზბეგი - ომალო) შეადგინა, ხოლო თოვლის საფარის სიმაღლემ 128-347% (ჯვრის უდელტეხილი - ლენტეხი). თოვლის საფარის სიმაღლემ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ლენტეხი, ლებარდე, ჭავა, ბარისახო, ყაზბეგი) მანამდე არსებულ მაქსიმალურ მნიშვნელობას გადააჭარბა.

ამრიგად, საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა 1976 წლის იანვარში ჰაერის დაბალი ტემპერატურისა და მოსული ნალექების დიდი რაოდენობით გამოწვეული მყარი ნალექების სიუხვითა და თოვლის საფარის დიდი სიმაღლით იყო განპირობებული.

1986-87 წ. ზამთარში საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა იანვრის თვეში მოხდა. 1987 წლის იანვარში ჰაერის ტემპერატურა საშუალო მრავალწლიურზე 0,2 - 2,8° (ჯვრის უდელტეხილი - ომალო) იყო მაღალი, ხოლო მოსული ნალექების რაოდენობამ კი საშუალო მრავალწლიურის 157-504% (გაგრის ქედი - შოვი) შეადგინა (ცხრ.1.6). 1987 წლის იანვარში მოსული ნალექების რაოდენობა მთელ რიგ მეტეოროლოგიურ სადგურებზე მანამდე არსებულ მაქსიმალურ მნიშვნელობაზე მეტი იყო.

ცხრილი 1.4. ჰაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები 1976 წლის იანვარში საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში

სადგური	H, მ	ჰაერის ტემპერატურა, გრად.			ატმოსფერული ნალექი, მმ		
		საშ. მრ.	I, 1976წ.	სხვაობა	საშ. მრ.	I, 1976წ.	% მრ-დან
ლენტები	760	-2,1	-2,8	-0,7	122	365	299
ჯავა	1109	-2,6	-3,1	-0,5	75	221	295
ბარისახო	1325	-4,3	-5,8	-1,5	60	236	393
მესტია	1441	-5,6	-6,5	-0,9	66	152	245
შოვი	1507	-5,5	-6,5	-1,0	88	217	246
ლებარდე	1610	-3,4	-4,0	-0,6	204	373	183
გაგრის ქედი	1644	-3,2	-3,9	-0,7	159	366	230
ყაზბეგი	1744	-4,4	-4,6	-0,2	28	50	178
ომალო	1880	-8,4	-8,5	-0,1	29	131	452
ჯვრის უდელ.	2395	-10,2	-11,1	-0,9	99	291	294

ცხრილი 1.5. მყარი ნალექები და თოვლის საფარი 1976 წლის იანვარში საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში

სადგური	H, მ	მყარი ნალექები, მმ			თოვლის სიმაღლე, სმ		
		საშ. მრ.	I, 1976წ.	% მრ-დან	საშ. მრ.	I, 1976წ.	% მრ-დან
ლენტები	760	65	212	326	85	295	347
ჯავა	1109	49	146	298	54	258	247
ბარისახო	1325	47	203	432	73	182	249
მესტია	1441	57	149	261	82	115	140
შოვი	1507	75	204	272	112	208	185
ლებარდე	1610	163	313	192	240	465	194
გაგრის ქედი	1644	160	348	217	211	277	131
ყაზბეგი	1744	24	45	187	55	112	204
ომალო	1880	30	131	437	71	131	184
ჯვრის უდელ.	2395	99	291	294	238	305	128

1987 წლის იანვარში ჰაერის ტემპერატურა მყარი ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლისა და უხვოთვლიანობისათვის არ იყო ხელსაყრელი, რადგან მისი მნიშვნელობა საერთო მრავალწლიურზე მეტი იყო, მაგრამ

იანვარში მოსული ნალექების რაოდენობა იმდენად აღემატებოდა საერთო მრავალწლიურს, რომ მან მაინც განაპირობა მოსული მყარი ნალექების არნახული რაოდენობა და თოვლის საფარის დიდი სიმაღლე (ცხრ.1.7. აღსანიშნავია, რომ 1986-87 წწ. ზამთარში ცალკეული მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებით (ლენტები, მესტია, შოვი, ლებარდე, ომალო, ჯვრის უდელტებილი და სხვა) თოვლის საფარის სიმაღლემ, საქართველოს რიგ მთიან რეგიონებში მანამდე აღრიცხულ თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეს გადააჭარბა. 1987 წლის იანვარში მოსული მყარი ნალექების რაოდენობამ საშუალო მრავალწლიურის 126 -485% (გაგრის ქედი - შოვი) შეადგინა, ხოლო თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლემ - 160-459% (გაგრის ქედი- ლენტები).

ცხრილი 1.6. ჰაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები 1987 წლის იანვარში საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში

სადგური	H, მ	ჰაერის ტემპერატურა, გრად.			ატმოსფერული ნალექი, მმ		
		საშ. მრ.	I, 1987წ.	სხვაობა	საშ. მრ.	I, 1987წ.	% მრ-დან
ლენტები	760	-2,1	-0,5	+1,6	122	556	456
ჯავა	1109	-2,6	-1,4	+1,2	75	362	483
ბარისახო	1325	-4,3	-2,9	+1,4	60	267	445
მესტია	1441	-5,6	-3,9	+1,7	66	247	374
შოვი	1507	-5,5	-3,6	+1,9	88	444	504
ლებარდე	1610	-3,4	-2,6	+0,8	204	734	360
გაგრის ქედი	1644	-3,2	-2,9	+0,3	159	248	157
ყაზბეგი	1744	-4,4	-3,1	+1,3	28	53	189
ომალო	1880	-8,4	-5,6	+2,8	29	117	403
ჯვრის უღელ.	2395	-10,2	-10,0	+0,2	99	181	183

ამრიგად საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების მასიური ჩამოსვლა 1971 წლის თებერვალში, 1976 და 1987 წწ. იანვარში კლიმატის ცალკეული ელემენტების თავისებურებებით იყო განპირობებული. აღნიშნულ წლებში ჰაერის დაბალი ტემპერატურით (ორ შემთხვევაში) და განსაკუთრებით კი მოსული ნალექების დიდი რაოდენობით (სამივე შემთხვევაში) გამოწვეულმა მყარი ნალექებისა და მოსული თოვლის არნახულმა სიუხვემ განაპირობა კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა.

ცხრილი 1.7. მყარი ნალექები და თოვლის საფარი 1987 წლის იანვარში საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რეგიონებში

სადგური	H, მ	მყარი ნალექები, მმ			თოვლის სიმაღლე, სმ		
		საშ. მრ.	I, 1987წ.	% მრ-დან	საშ. მრ.	I, 1987წ.	% მრ-დან
ლენტები	760	65	261	401	85	390	459
ჯავა	1109	49	217	443	64	152	237
ბარისახო	1325	47	187	398	73	156	214
მესტია	1441	57	190	333	82	298	363
შოვი	1507	75	364	485	112	365	326
ლებარდე	1610	163	558	342	240	480	200
გაგრის ქედი	1644	160	201	126	211	338	160
ყაზბეგი	1744	24	44	183	55	96	174
ომალო	1880	30	113	376	71	140	197
ჯვრის უღელ.	2395	99	181	183	238	455	191

კლიმატის ცალკეული ელემენტების თავისებურება არა მარტო კატასტროფული ზვავების მასიურ ჩამოსვლას, არამედ ზოგადად სისტემატური ზვავების ჩამოსვლასაც განაპირობებს. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების ფართო გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორებია კლიმატი და რელიეფი, ხოლო მცენარეული საფარი – ტყე, პირიქით ხელისშემლელია, რადგან, ხშირი, მოზრდილი ტყით დაფარულ ფარდობებზე ზვავების წარმოქმნა არ ხდება [17].

2. კლიმატის ელემენტებზე დამოკიდებული ზგავსაშიშროების მახასიათებლები და მათი დოროში ცვლილება


ზვავსაშიშროების ძირითად რაოდენობრივ მახასიათებლებს წარმოადგენებს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა (ზვავაქტიური ფერდობების ფართობის საერთო ფართობთან შეფარდება პროცენტებში), ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე (ზვავშემკრებების რაოდენობა ფართობის ერთეულზე), ზვავების ჩამოსვლის სიხშირე (ზვავშემკრებიდან ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში), ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა (ზვავსაშიში დღეთა რაოდენობა ერთ ზამთარში) [3,11]. ამ ოთხი რაოდენობრივი მახასიათებლიდან ორი - ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, გარდა ოროგრაფიისა და ფერდობების დახრილობისა, დამოკიდებულია ატმოსფერულ ნალექებზე, კერძოდ თოვლის საფარზე. ზვავსაშიში თოვის დადგენის დროს აუცილებელის ფერდობების დახრილობის გათვალისწინება, რადგან სხვადასხვა დახრილობის ფერდობებისათვის ზვავსაშიში თოვის სიდიდე (თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი დღე-დამეტი) სხვადასხვა იქნება. ჩვეულებრივ განმარტავენ, რომ ზვავები ჩამოდიან ყოველწლიურად ან წელიწადში რამდენჯერმე.

ზვავების რეჟიმზე დაკვირვების მასალები მთიანი რაიონებში ზვავების ჩამოსვლის სიხშირის მხოლოდ მიახლოებით სურათს ასახავენ, რადგან მრავალწლიური სისტემატური დაკვირვება წარმოებს მხოლოდ მცირე ფართობის მქონე შეზღუდულ ტერიტორიაზე, მაგალითად თოვლ-საზვავე სადგურზე, სამწუხაროდ დღეისათვის ამ მასალებს მოკლებულნი ვართ, რადგან თოვლ-საზვავე სადგური თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს და მხოლოდ მეტეოდაკვირვებით შემოიფარგლება.

საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით ფართო გავრცელებით ხასიათდება ახალმოსული თოვლის ზვავები, რომელთა წილი საერთოდ ჩამოსული ზვავების საერთო რაოდენობის 80%-ს შეადგენს [8,11]. ზამთრის განმავლობაში ახალმოსული თოვლის ნამატის რაოდენობა (ზამთრის განმავლობაში ყველა თოვის დროს მოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამი) უშუალოდ არ იზომება. და მათი გამოთვლა მეტად შრომატევადია. ახალმოსული თოვლის ნამატის რაოდენობასა და ზამთარში თოვლის მაქსიმალურ სიმაღლეს შორის ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში მდებარე მეტეოსადგურების მრავალწლიანი მონაცემები გამოვიყენეთ და ავაგეთ ახალმოსული თოვლის ნამატის ჯამებსა (Σ h_a) და თოვლის მაქსიმალურ სიმაღლეს (h_{\max}) შორის ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკი (ნახ. 2.1). ეს ურთიერთდამოკიდებულება შემდეგნაირად გამოისახება:

$$\Sigma h_a = k(h_{\max} - \Delta h) \quad (2.1)$$

სადაც Σh_a – ზამთრის განმავლობაში ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამია h_a – ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე Δh -ში;



ნახ.3.3.ახალმოსული თოვლის ნამატის ჯამებსა (Σh_{ab}) და თოვლის მაქსიმალური სიმაღლეს (h_{\max}) შორის დამოკიდებულება

ნახ. 2.1 ახალმოსული თოვლის ნამატის ჯამებსა (Σh_{ab}) და თოვლის მაქსიმალურ სიმაღლეს (Δh_{\max}) შორის დამოკიდებულება

Δh – ერთი თოვისას მოსული თოვლის სიმაღლე სმ-ში, k – კოეფიციენტია, რომლის ცვლილებაც დამოკიდებულია Δh -ის ცვლილებაზე და გამოისახება:

$$k = 2,55 e^{0,006 \Delta h} \quad (2.2)$$

სადაც e - ნატურალური ლოგარითმის ფუძეა ($e=2,72$), თუ k -ს მნიშვნელობას შევიტან 2.1 ტოლობაში, მივიღებთ:

$$Sh_{ab} = 2,55 e^{0,006 \Delta h} (h_a - \Delta h) \quad (2.3)$$

ზამთრის განმავლობაში მოცემულ ფერდობსა და ზვავშემკრებში იმდენჯერ წარმოიშვება ზვავი, რამდენჯერაც მოგა კრიტიკულ სიმაღლეზე მეტი სიმაღლის მქონე თოვლი, თუ ერთი ზამთრის განმავლობაში ზვავების ჩამოსვლის სიხშირეს ავდნიშნავთ r - ით, მაშინ:

$$r = \frac{\sum h_{ab}}{h_{\text{crit}}}, \quad (2.4)$$

საქართველოს პირობებისათვის სიმარტივითა და სიზუსტით გამოირჩევა თოვლის კრიტიკულ სიმაღლის განსაზღვრის ვ.ცომაიას [269] ფორმულა:

$$h_{\text{crit}} = 17200 \alpha^2 [(0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6] \quad (2.5)$$

სადაც α -ფერდობთა დახრილობაა გრადუსებში, ρ - თოვლის სიმკვრივე გ/სმ³-ში; თუ (2.4) ფორმულაში ჩავსვამთ (2.3) და (2.5) მნიშვნელობებს, მივიღებთ, რომ:

$$r = \frac{2,55 e^{0,006 \Delta h} (h_a - \Delta h)}{17200 \alpha^{-2} [(0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6]} \quad (2.6)$$

2.6 ფორმულით ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დადგენისას წინასწარ უნდა გამოვთვალოთ თოვლის კრიტიკული სიმაღლე.

2.1 ზვავების ჩამოსვლის სიხშირე

ამრიგად, ერთ ზამთარში ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დადგენისათვის აუცილებელია თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის (h_a), ფერდობთა დახრილობის (α) და თოვლის სიმკვრივის (ρ) ცოდნა [6].

საქართველოს ტერიტორიის დასავლეთი ნაწილისათვის დამასისიათებელია ნოტიო, რბილი კლიმატი, ამიტომ ახალმოსული თოვლის სიმკვრივე აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით მეტია, რადგან აღმოსავლეთ საქართველოსათვის კონტინენტალური, მშრალი კლიმატია დამახასიათებელი. მრავალწლიური მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასავლეთ საქართველოს, უხევთოვლიანი და განსაკუთრებით უხევთოვლიანი რაიონებისათვის, ახალმოსული თოვლის სიმკვრივის საშუალო მნიშვნელობა 0,12 გ/სმ³-ს შეადგენს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, საშუალოთოვლიან და მცირეთოვლიან რაიონებში, - 0,10 გ/სმ³-ს.

2.6 ფორმულაში შემავალი პარამეტრებიდან ახალმოსული თოვლის სიმკვრივე და ფერდობების დახრილობა უცვლელი სიდიდეებია, ხოლო თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება იმის და მიხედვით, თუ როგორი იყო ზამთარი. ფორმულა საშუალებას გვაძლევს, რომ განვსაზღვროთ ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიხშირე. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ავაგეთ ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან სხვადასხვა დახრილობის ($20^\circ, 30^\circ, 40^\circ$) ფერდობებისათვის ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიხშირის დამოკიდებულების გრაფიკები ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან (ნახ.2.2.) აქვე ავღნიშნავთ, რომ 40° და მეტი დახრილობის ფერდობებზე, განსაკუთრებით უხევთოვლიან და უხევთოვლიან რაიონებში ერთი ზვავის კერიდან ზვავი შეიძლება ჩამოვიდეს 60-70-ჯერ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ 40° და მეტი დახრილობის ზვავის კერები საქართველოში არსებული კერების 1-3%-ს შეადგენს. მაგა-


ლითოსათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 1976 წლის 14 იანვარს ჭუბერის თემში (მესტიის რაიონი) 10 საათის განმავლობაში სამჯერ ჩამოვიდა ზვავი, ასევე ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კოლორადოს შტატში ერთი და იმავე ზვავის კერიდან ზვავი 74-ჯერ ჩამოვიდა.

საქართველოს ტერიტორიაზე დიდ ფარგლებში იცვლება ზვავების ჩამოსვლის სიხშირე (ცხრ.2.1; დანართი 2: ნახ.2.3, 2.4, 2.5)


ცხრილი 2.1 ზვავების ჩამოსვლის სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე

ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში	მაქსიმალური	საშუალო	მინიმალური
	% საერთო ფართობიდან	% საერთო ფართობიდან	% საერთო ფართობიდან
0	44	51	80
< 5	15	23	14
5-10	11	15	6
11-15	12	12	-
> 15	18	-	-
	100	100	100

ამრიგად, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის დროს საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების წარმოქმნა არ ხდება (ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ნულის ტოლია) მოლიანი ფართობის 44%-ზე, საშუალო სიხშირის დროს – საქართველოს ტერიტორიის 51%-ზე არ წარმოქმნება ზვავები, ხოლო მინიმალური სიხშირის დროს 80%-ზე.




ნახ. 2.3. ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირის რუკა



გან. 2.4. ზეპავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის რუკა

გან. 2.4. ზეპავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის რუკა



გან. 2.5. ზეპავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის რუკა

გან. 2.5. ზეპავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირის რუკა

2.2 ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა

ზვავსაშიში პერიოდის დადგენის მრავალი ნაშრომის განხილვისას ჩვენთვის ყველაზე მისაღები გახდა ლ. ქალდანის მიერ მიღებული განმარტება: “ზვავსაშიშ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს წლის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას, რადგან თოვლის საფარის ასეთი სიმაღლის არსებობის დროს, კლიმატის ელემენტების ხშირი ცვალებადობის და თოვლის საფარში მიმდინარე პროცესების გამო, მოსალოდნელია სხვადასხვა გენეზისის ზვავების ჩამოსვლა აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობად უნდა მივიღოთ წლის განმავლობაში იმ დღეთა რაოდენობა, როდესაც თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას [1].

ზვავსაშიში პერიოდი შეიძლება იყოს როგორც უწყვეტი, ისე წყვეტილი. უწყვეტია, თუ მთელი პერიოდის განმავლობაში თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია, როგორც სივრცეში (ადგილის სიმაღლე, ოროგრაფია, ფერდობების დახრილობა), ისე დროში (თოვლის საფარის ხანგრძლივობა, თოვლის საფარის სიმკვრივე) ცვალებად ფაქტორებზე. ე.ი. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება დიდ ფარგლებში, როგორც სივრცეში ისე დროში.


ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის დროში ცვალებადობის დასადგენად გამოყენებული იქნა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა გამოვლილი იქნა აღნიშნული პერიოდის ყველა ზამთრისათვის, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობები (ცხრ.2). ავაგეთ გრაფიკები, სადაც წარმოჩენილია ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალურ, საშუალო და მინიმალურ ხანგრძლივობებსა და ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეს შორის დამოკიდებულება სხვადასხვა დახრილობის მქონე ფერდობებისათვის (ნახ.2.6).

ცხრილი 2.2. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა საქართველოს ტერიტორიაზე

ზვავსაშიშ დღეთა რაოდენობა	მაქსიმალური	საშუალო	მინიმალური
	% საერთო ფართობიდან	% საერთო ფართობიდან	% საერთო ფართობიდან
0	44	51	80
< 50	15	27	14
50 – 100	15	13	6
101 – 150	13	9	-
> 150	13	-	-
	100	100	100


როგორც ცხრილი 2.2 - დან ჩანს, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა სავრცეში (საქართველოს ტერიტორიაზე) და დროში (მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური) დიდ ფარგლებში იცვლება; ზამთრის თოვლიანობის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება არაზვავსაშიში (ზვავსაშიში პერიოდის ნულოვანი ხანგრძლივობის) ტერიტორიის ფართობიც. ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს არაზვავსაშიშია საქართველოს ტერიტორიის 44%, საშუალო ხანგრძლივობის დროს 50%, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობის დროს 80%. დასახელებული პროცენტული მაჩვენებლები იგივეა, რაც ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სისტირია დროს, ეს ბუნებრივია, რადგან იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ხდება ზვავების წარმოქმნა

(ანუ ზვავების ჩამოსვლის სიხშირე ნულის ტოლია) – ნულის ტოლია ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობაც.





ნახ. 2.6.. ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური (-), საშუალო (-) და მინიმალური (- - -) ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან სხვადასხვა დახრილობის ფერდობებზე უხვოველიან რაოდნში

ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობით (>150 დღეზე) ხასიათდება კავკასიონის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი 1400-1500 მ-ზე მდებარე ფერდობები, აგრეთვე მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედის ფერდობები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 150 დღეზე მეტი ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა მხოლოდ აღმოსავლეთ კავკასიონის დასავლეთი ნაწილის მაღალმთიან ზონაში გვხვდება (2400-2500 მ-ზე მაღლა. რაიონები, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 100-150 დღეა, უჭირავს დასავლეთ საქართველოს საშუალომთიანი და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონები, ხოლო საშუალო ხანგრძლივობის დროს - დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა. ზვავსაშიში პერიოდით 50-დან 100 დღემდე მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს ხასიათდება დაბალმთიანი ზონა, საშუალო ხანგრძლივობის დროს - საშუალომთიანი ზონა, ხოლი მინიმალური ხანგრძლივობის დროს - მცირე კავკასიონის დასავლეთი ნაწილისა და კავკასიონის ტყის ზედა საზღვრის ზემოთ მდებარე ტერიტორია. დაიონები, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხამგრძლივობა 50 დღეზე ნაკლებია, მაქსიმალური ხანგრძლივობის დროს უჭირავს დაბალმთიანი ზონა, საშუალო ხანგრძლივობის დროს - დაბალმთიანი ზონა დასავლეთ საქართველოში და საშუალომთიანი ზონა - აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მინიმალური ხანგრძლივობის დროს - საშუალომთიანი ზონა დასავლეთ საქართველოში და მაღალმთიანი ზონა აღმოსავლეთ საქართველოში (დანართი 3: ნახ. 2.7, 2.8, 2.9)



ნახ. 2.7 - 2.8 ზეპავსაში მაქსიმალური და საშუალო ხანგრძლივობის
რეგი





ნახ 2.9. ზვავსაშიში პერიოდის მინიმალური სანგრძლივობის რუკა

2.3 კლიმატის ელემენტებისა და ზვავსაშიშობის მახასიათებლების ცვალებადობა დროში

მნიშვნელოვანი იყო დაგვეძგინა თუ რა გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურა (t), ატმოსფერული ნალექები (x) და თოვლის საფარის სიმაღლე (h) ზვავების ჩამოსვლის სიხშირესა (r) და ზვავსაშიში პერიოდის სანგრძლივობაზე (T). შევარჩიეთ ორი მეტეოსადგურის ხულოსა და ბარისახოს მონაცემები, რომლებიც საქართველოს უკიდურეს სამხრეთ დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში, ანუ სხვადასხვა კლიმატურ ოლქში მდებარეობენ (ცხრ.2.3). ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამი ძირითადი ზვავწარმომქმნელი ბუნებრივი კომპონენტი - რელიეფი, მცენარეული საფარი და კლიმატი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ცხრილი 2.3-ის ანალიზიდან ცხადია, რომ ხულოსა და ბარისახოს მიმდებარე ტერიტორიაზე თოვლის საფარის სიმაღლე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის სანგრძლივობა საშუალო მრავალწლიურზე იმ ზამთარშია მეტი, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საშუალო მრავალწლიურზე დაბალი, ხოლო მოსული ნალექების რაოდენობა - მეტია; იგივე დასტურდება იმ ზამთრებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა განსაკუთრებით დაბალია ან მოსული ნალექების რაოდენობა განსაკუთრებით ბევრი. ხულოს მიმდებარე ტერიტორიაზე ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე (14-ჯერ ჩამოსვლა ერთ ზამთარში) და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური სანგრძლივობა (93დღე) დაფიქსირდა 1988-89 ზამთარში, როცა ჰაერის ტემპერატურა საშუალო

მრავალწლიურზე 2,1°-ით დაბალი იყო, ხოლო მოსული ნალექების რაოდენობამ კი საშუალო მრავალწლიურის 194% შეადგინა; ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა ბარისახოს მიმდებარე ტერიტორიაზეც. როგორც ხულოს, ისე ბარისახოს ტერიტორიაზე ზვავები არ ჩამოსულა იმ ზამთრებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საშუალო მრავალწლიურზე მაღალი, ხოლო მოსული ნალექების რაოდენობა კი საშუალო მრავალწლიურზე ნაკლები იყო, ასევე იმ ზამთრებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა განსაკუთრებით მაღალი იყო, ან მოსული ნალექების რაოდენობა ძალიან მცირე. საქართველოს მთიან რეგიონებში მდებარე ყველა მეტეოროლოგიური სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა წლებშიც (1940-90 წწ.) ანალოგიური ვითარება აღინიშნება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კლიმატის ელემენტებსა და ზვავსაშიშროების მახასიათებლებს შორის მჭიდრო კავშირი მთლიანად საქართველოს ტერიტორიისათვისაა დამახასიათებელი.

ცხრილი 2.3. კლიმატის ელემენტებისა და ზვავსაშიშროების მახასიათებლების ცვალებადობა დროში

№	წელი	ხ უ ლ ო					ბ ა რ ი ს ა ხ ო				
		t°	x,მმ	h,სმ	r	T	t°	x,მმ	h,სმ	r	T
